პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

გადაწყვეტილება №გ-1/173/2022

სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლის შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **17/11/2022**

შემოწმების დაწყების საფუძველი: „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2022 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ" პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 აპრილის №01/23 ბრძანების საფუძველზე მიღებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 ივნისის №05/01/06 ბრძანება.

შემოწმების დაწყების თარიღი: 2022 წლის 2 ივნისი.

მონაცემთა დამმუშავებელი: სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლა.

შემოწმების ფარგლები: სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის, შენახვის და მესამე პირებისთვის გადაცემის გზით არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლა (შემდგომში - სკოლა) რესურსსკოლაა[1], რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

[1] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ[7].ა" ქვეპუნქტის თანახმად, რესურსსკოლა არის სენსორული ან/და მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სკოლა, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, აგრეთვე სათანადო პროგრამებით/სერვისებით უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს.

(შემდგომში - სსსმ) მოსწავლეებისთვის ახორციელებს. სკოლაში 200 (ორასი) მოსწავლე და 30 (ოცდაათი) მასწავლებელია[2]. შესაბამისად, სკოლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ახორციელებს არასრულწლოვნების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას. ბავშვები, როგორც წესი, მწირ ინფორმაციას ფლობენ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების მავნე შედეგების შესახებ და ნაკლებად აცნობიერებენ საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობას. ამასთან, არასრულწლოვანთა მონაცემების კანონდარღვევით გამჟღავნებამ ან ნებისმიერი სხვა ფორმით დამუშავებამ, შესაძლოა გამოიწვიოს მათი ღირსების შელახვა, სტიგმატიზაცია, ბულინგი, დისკრიმინაცია ან/და სხვა სახის ნეგატიური გავლენა იქონიოს ბავშვის ემოციურ მდგომარეობასა და მის შემდგომ განვითარებაზე.

ამდენად, სკოლის მიერ დამუშავებული მონაცემების სუბიექტების კატეგორიის (სსსმ ბავშვები) და მონაცემთა კატეგორიის (განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები), ასევე, მონაცემების დიდი მოცულობის გათვალისწინებით, „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2022 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ" პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) უფროსის 2022 წლის 7 აპრილის №01/23 ბრძანების მე-3 პუნქტის საფუძველზე, სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 ივნისის №05/01/06, 2022 წლის 10 აგვისტოს №05/01/12, 2022 წლის 7 ოქტომბრის №05/01/19 და 2022 წლის 31 ოქტომბრის №05/01/21 ბრძანებების შესაბამისად მიღებულ იქნა სკოლის გეგმური შემოწმების გადაწყვეტილება 2022 წლის 2 ივნისიდან 2022 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული გეგმური შემოწმების ფარგლებად თავდაპირველად განისაზღვრა არასრულწლოვანთა დისციპლინური გადაცდომების შესახებ მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა, თუმცა სამსახურის 2022 წლის 10 ივნისის №PDPS 5 22 00002611 წერილზე და თანდართულ კითხვარზე საპასუხოდ სკოლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი 2022 წლის 22 ივნისის №MES 8 22 0000689529 (რეგისტრირებული: 22/06/2022; №PDPS 7 22 00002884) წერილით და 2022 წლის 21 ივლისს სამსახურის უფლებამოსილ წარმომადგენელთან დისტანციური შეხვედრის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციით გამოირკვა, რომ ვინაიდან სკოლის მოსწავლეები სენსორული ან/და ინტელექტუალური დარღვევის/ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე პირები არიან, სკოლის მოქმედ შინაგანაწესში არასრულწლოვნებთან მიმართებით არ არის გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომების გამოვლენის, მასზე რეაგირების საკითხები. ამასთან მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოებები არც პრაქტიკაში ხორციელდება. ამდენად, სკოლის მიერ, სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 ივნისის №05/01/06 ბრძანებით გათვალისწინებულ ფარგლებში მონაცემთა დამუშავების პროცესი არ გამოიკვეთა.

---

[2] მითითებულ ვებგვერდზე არსებული მონაცემები სკოლასთან დაზუსტდა შემოწმების ფარგლებში.

ამასთან, სათანადო ნორმატიული ბაზის შესწავლით და სკოლასთან შეხვედრის ფარგლებში გამოირკვა, რომ სასწავლო პროცესის მოსწავლეთა საჭიროებებზე უკეთ მორგების მიზნით სკოლა ახდენს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტირებას და თითოეული მოსწავლისთვის ყოველწლიურად ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტების შექმნის და შენახვის პროცესში სკოლა არასრულწლოვნების არაერთ მონაცემს ამუშავებს, მათ შორის, ინფორმაციას მათი კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ. ამასთან, შესაძლოა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სკოლის მიერ მესამე პირებს გადაეცეთ, კერძოდ, მოსწავლის მობილობის შემთხვევაში - სხვა სკოლას, ხოლო ინკლუზიურ განათლებაზე გარე მონიტორინგის ფარგლებში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო). ამდენად, სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 ივნისის №05/01/06 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ სამსახურის უფროსის 2022 წლის 10 აგვისტოს №05/01/12 ბრძანებით შემოწმების ფარგლებად განისაზღვრა სკოლის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის, შენახვის და მესამე პირებისთვის გადაცემის გზით არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.

შემოწმების ფარგლებში, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების მიზნით, სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

— სამსახურის 2022 წლის 19 აგვისტოს №PDPS 0 22 00004173 წერილით სკოლას ეთხოვა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის, შენახვის და მესამე პირებისთვის გადაცემის გზით არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რაც სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 6 სექტემბრის №MES 9 22 0001010521 წერილით (რეგისტრირებული: 07/09/2022; №PDPS 5 22 00004565), ასევე, 2022 წლის 5 და 12 ოქტომბერს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
— 2022 წლის 19 ოქტომბერს სკოლას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეთხოვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია სკოლის მიერ მიმდინარე სასწავლო წელს დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ჯგუფების შემადგენლობების შესახებ, ასევე, ეთხოვა ერთ-ერთი მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პროცესში მოპოვებული/შექმნილი დოკუმენტაციის და სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ინკლუზიური განათლების გარე მონიტორინგის განხორციელების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც სკოლამ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით 2022 წლის 20 და 24 ოქტომბერს წარმოადგინა;
— 2022 წლის 7 და 20 ოქტომბერს ქ. თბილისში, მდებარე სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში, ხოლო 2022 წლის 20 და 21 ოქტომბერს ქ. თბილისში, სოფ. მდებარე სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში (რომელშიც სკოლა დროებით ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას) ჩატარებული ადგილზე შემოწმებების ფარგლებში დათვალიერდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მატერიალური და ელექტრონული

ფორმით შენახვის პროცესი და სკოლის 10-ზე მეტი მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ფარგლებში შექმნილი/მოპოვებული სრული დოკუმენტაცია ან მისი ნაწილი, მოპოვებულ იქნა შესაბამისი გარემოებების თაობაზე ინფორმაცია და ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ როგორც სკოლის წარმომადგენლებს, ისე სამ კლასის დამრიგებელს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადების პროცესში;

— 2022 წლის 19 ოქტომბერს სატელეფონო კომუნიკაციის გზით ახსნა-განმარტება ჩამოერთვა სკოლის წარმომადგენელს, სკოლის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფების შემადგენლობების ფორმირებასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შინაარსის განსაზღვრასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მოპოვებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით;

— 2022 წლის 24 ოქტომბერს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (აღნიშნული დაწესებულება ახორციელებს სკოლის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ელექტრონული ფორმით შესანახად გამოყენებული ღრუბლოვანი სივრცის ადმინისტრირებას) ჩატარებული ადგილზე შემოწმების ფარგლებში მოპოვებულ იქნა ინფორმაცია სკოლის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების „Microsoft 365"-ის პროდუქტის - „One Drive"-ის მეშვეობით შენახვასთან დაკავშირებით;

— 2022 წლის 25 ოქტომბერს შემოწმების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით გაიმართა დისტანციური შეხვედრა სკოლის წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც მოპოვებულ იქნა ახსნა-განმარტებები, მათ შორის, სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფების (შემდგომში - ისგ ჯგუფები) შეხვედრების ფორმატთან, ისგ ჯგუფის წევრებისთვის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი) დასკვნის ხელმისაწვდომობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით;

— 2022 წლის 26 და 27 ოქტომბერს სკოლის პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცების პროცესთან დაკავშირებული გარემოებების დაზუსტების მიზნით დამატებით გამოიკითხნენ სკოლის წარმომადგენელი, სკოლის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე და სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე. ამასთან, სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ 26 ოქტომბერს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია;

— ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნისა და შენახვის ტექნიკურ პროცესთან, ასევე, მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სამსახურის სპეციალისტის მიერ შემუშავებულ იქნა 2022 წლის 26 ოქტომბრის №PDPS 7 22 00005674 დასკვნა;

— მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვის შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის დაზუსტების მიზნით 2022 წლის 27 ოქტომბერს სატელეფონო კომუნიკაციის გზით დამატებით გამოიკითხა სკოლის სამი მასწავლებელი;

— 2022 წლის 28 ოქტომბრის №PDPS 6 22 00005727 წერილით სამინისტროს ეთხოვა ინფორმაცია სკოლის ისგ ჯგუფის წევრებისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის ხელმისაწვდომობის მიზანშეწონილობის, მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, ასევე, სკოლის სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების მიერ მოსწავლეთა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე წვდომასთან დაკავშირებით, რაც სამინისტრომ წარმოადგინა 2022 წლის 4 ნოემბრის №MES 5 22 0001408517 წერილით (რეგისტრირებული: 07/11/2022; №PDPS 5 22 00005898). სამინისტროს წერილით წარმოდგენილი განმარტებების დაზუსტების მიზნით 2022 წლის 9 და 15 ნოემბერს სატელეფონო კომუნიკაციის გზით ახსნა-განმარტება ჩამოერთვა სამინისტროს წარმომადგენელს.

შემოწმების ფარგლებში დადგენილი გარემოებები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის პროცესი

— სკოლის განმარტებით, სკოლის ყველა მოსწავლეს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. სასწავლო პროცესის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგების მიზნით სკოლა თითოეული მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის გზით ყოველწლიურად ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

— სკოლის განმარტებით, სკოლის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის ვალდებულება და წესი „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით (შემდგომში - ეროვნული სასწავლო გეგმა) განისაზღვრება. ეროვნული სასწავლო გეგმის:

- 41-ე მუხლის 1-ლი - მე-3 პუნქტების მიხედვით:
    - სსსმ მოსწავლე არის მოსწავლე, „რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას";
    - „სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს: ა) ფიზიკური შეზღუდვა; ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა; გ) სწავლის უნარის დარღვევა; დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის); ე) მეტყველების განვითარების დარღვევა; ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა; ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება; თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში";

- „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.“.

- 42-ე მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-5 - მე-8 პუნქტების თანახმად:
  - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.“;
  - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.“;
  - სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
  - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.“;
  - „ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს: ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში; ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში; გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა; დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი; ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც; ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.";

- „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.".

— სკოლის განმარტებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნას და მათ შესრულებაზე მონიტორინგს სკოლა ისგ ჯგუფების მეშვეობით ახორციელებს, რომელთა შექმნისა და საქმიანობის წესი ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით განისაზღვრება. კერძოდ, აღნიშნული გეგმის:

- 42[1] მუხლის 1-ლი - მე-6 პუნქტების შესაბამისად:
  - „სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ის ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.";
  - „სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან: ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი; ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს; გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები; დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი; ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.";
  - „ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს დამრიგებელი.";
  - „ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ; ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.";
  - „ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.";
  - სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო

შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

— სკოლის განმარტებით, თითოეული მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვამდე სკოლას ელექტრონული პროგრამის - „Eflow"-ს მეშვეობით ეგზავნება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ. დასკვნის ელექტრონულ ვერსიაზე წვდომა აქვთ სკოლის დირექტორს და დირექტორის მოადგილეს. დასკვნის მიღების შემდგომ მზადდება მისი მატერიალური ასლი და თავსდება მოსწავლის პირად საქმეში;

— მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის ფორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) 2022 წლის 3 ნოემბრის №MES 4 22 0001402071 ბრძანებით არის დამტკიცებული და მასში არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებთან (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, დაბადების თარიღი, ასაკი) ერთად შემდეგი ინფორმაცია მიეთითება:

- მოსწავლის უნარების შესაფასებლად გამოყენებული ტესტების დასახელებები;
- არასრულწლოვნის დიაგნოზი;
- მედიკამენტების მიღების სიხშირე და ხანგრძლივობა;
- სოციალური ისტორიის, ოჯახური გარემოს და საგანმანათლებლო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია;
- მოსწავლის კოგნიტური, აკადემიური, მოტორული და ფუნქციური უნარების, ქცევებისა და ემოციის, კომუნიკაციის, ინტერესების/მიდრეკილებების შესახებ ინფორმაცია;
- დასკვნა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანშეწონილობის შესახებ;
- რეკომენდაციები, თუ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული რომელი სპეციალისტ(ებ)ის (მაგ.: სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი და ა.შ.) ჩართვაა მიზანშეწონილი კონკრეტული მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში;
- რომელ საგანში/საგნებში საჭიროებს მოსწავლე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას;
- დამატებითი რეკომენდაციები სწავლების პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების, ინვენტარის, დავალებების/სავარჯიშოების, სახელმძღვანელო ლიტერატურის შესახებ;

— ადგილზე შემოწმებების, სკოლის წარმომადგენლებთან დისტანციური შეხვედრის გამართვის და სკოლისგან დოკუმენტაციის გამოთხოვის გზით მოპოვებულ იქნა/დათვალიერდა სკოლაში არსებული მულტიდისციპლინური გუნდის 10-მდე დასკვნა. აღნიშნული დასკვნები შეიცავდა ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციას, მათ შორის, მათში სრულად/ნაწილობრივ იყო მითითებული შემდეგი ინფორმაცია: არასრულწლოვნის დიაგნოზი; იღებს თუ არა არასრულწლოვანი მედიკამენტებს (თუ იღებს, რომელ მედიკამენტებს იღებს და როდის); მულტიდისციპლინური გუნდის მიერ

შეფასებისას გამოყენებული მეთოდები/რომელიმე მეთოდის გამოყენების შეუძლებლობა და გაკეთებული შეფასებები;

— სკოლის განმარტებით, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა მატერიალური სახით ხელმისაწვდომი ხდება კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაქმნელად ფორმირებული ისგ ჯგუფის ყველა წევრისთვის, ჯგუფის პირველ სხდომაზე და ჯგუფის ყველა წევრს შეუძლია სრულად გაეცნოს მის შინაარსს;

— სკოლამ აღნიშნა, რომ ისგ ჯგუფის წევრებისთვის დასკვნაში მითითებულ ინფორმაციაზე, მათ შორის, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდებზე და შეფასების შედეგად შექმნილ მოსწავლის უნარების აღწერაზე წვდომა საჭიროა, რათა ჯგუფმა სწორად განსაზღვროს მოსწავლის ძლიერი მხარეები, საჭიროებები და ჯგუფის თითოეულმა წევრმა სრულფასოვნად შეძლოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება - კერძოდ, აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით თითოეულ საგანში შეიმუშაონ არასრულწლოვნის კოგნიტურ, აკადემიურ, ინტელექტუალურ და მოტორულ უნარებზე და საჭიროებებზე ზედმიწევნით მორგებული სწავლების ფორმატი. სკოლის განმარტებით, მოსწავლის შეფასებისას მულტიდისციპლინური გუნდის მეირ გამოყენებული ტესტების/მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიღება ისგ ჯგუფს ეხმარება, სათანადო კონტექსტში აღიქვან მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ მეთოდებთან მიმართებით თავადაც შეაფასონ მოსწავლე და შესაბამისი წარმოდგენა შეიქმნან მის პროგრესზე. სკოლამ განმარტა, რომ ისგ ჯგუფის წევრებს მოსწავლის დიაგნოზის შესახებ ინფორმაციის მიღება ეხმარებათ სასწავლო პროცესის არასრულწლოვნის სამედიცინო საჭიროებებთან თავსებადი ფორმით დაგეგმვაში, ისეთი დავალებებისა და აქტივობების გაწერის/გამოყენების უზრუნველყოფაში, რომლებიც არ მოახდენს არსებული სიმპტომების პროვოცირებას (მაგ.: განათების/ტემპერატურის მკვეთრმა ცვალებადობამ/ზოგიერთმა ფიზიკურმა აქტივობამ შესაძლოა ეპილეფსიური შეტევები გამოიწვიოს) და უარყოფითად არ იმოქმედებს კონკრეტული მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე/ფსიქოლოგიურ ფონზე. სკოლამ ასევე აღნიშნა, რომ მასწავლებლებს სათანადო გადამზადების შედეგად გააჩნიათ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის აუცილებელი ცოდნა. მისივე განმარტებით, ყოფილა შემთხვევები, როდესაც საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას გამოვლენილი გადაუდებელი აუცილებლობისას სამედიცინო პერსონალის ჩართვამდე გაკვეთილზე მყოფ მასწავლებელს უშუალო მონაწილეობა მიუღია მოსწავლისთვის სამედიცინო დიაგნოზის შესაბამისი აუცილებელი დახმარების აღმოჩენის პროცესში. სკოლის მითითებით, სასწავლო პროცესის წარმართვის და მოსწავლისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენის მიზნით მასწავლებლებს ასევე სჭირდებათ მოსწავლის მიერ მედიკამენტების მიღების შესახებ ინფორმაცია;

— შემოწმების ფარგლებში გამოიკითხა სკოლის სამი მასწავლებელი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მოსწავლის დიაგნოზის, ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის უნარების შეფასების შესახებ ინფორმაცია ესაჭიროებათ და ეხმარებათ ისგ ჯგუფების

ფარგლებში მათთვის დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსის მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება ინფორმაციას მოსწავლის მიერ მედიკამენტების მიღების შესახებ, მასწავლებლების განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია არ ესაჭიროებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნაში. მათ ასევე აღნიშნეს, რომ დასკვნაში მითითებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით რაიმე ღონისძიებების დამოუკიდებლად, ექიმის ან/და სხვა შესაბამისი პირის დამატებითი მითითებების გარეშე დაგეგმვა არ შეუძლიათ, ვინაიდან შესაბამისი კვალიფიკაცია არ გააჩნიათ და აღნიშნული არ შედის მათ კომპეტენციაში;

— სამინისტროს 2022 წლის 4 ნოემბრის №MES 5 22 0001408517 წერილში დაფიქსირებული განმარტების თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებს, რათა გეგმა მორგებული იყოს მოსწავლის საჭიროებებზე და ხელს უწყობდეს სწავლაში მოსწავლის პროგრესს. ამავე წერილის თანახმად, მულტიდისციპლინური გუნდი დასკვნაში აღწერს მოსწავლის უნარებს და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის პროცესში აღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვანია. 2022 წლის 9 და 15 ნოემბერს სატელეფონო კომუნიკაციის გზით სამსახურისთვის მოწოდებულ ახსნა-განმარტებაში სამინისტროს წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია ისგ ჯგუფისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მოცემული ყველა სახის ინფორმაციის, მათ შორის, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის შესაფასებლად გამოყენებული ტესტების/მეთოდების, მოსწავლის დიაგნოზის და მის მიერ მედიკამენტების მიღების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მისივე განმარტებით, ისგ ჯგუფის ყველა წევრი, მათ შორის, საგნის მასწავლებლები ვალდებულნი არიან ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მოსწავლის შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის, მათ შორის, დიაგნოზის და დიაგნოზიდან გამომდინარე საჭიროებების შეჯერებისა და გათვალისწინების საფუძველზე შეიმუშაონ. მანვე განმარტა, რომ სსსმ მოსწავლეების სწავლებაში ჩართული ყველა მასწავლებელი გადის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსებს ინკლუზიური განათლების შესახებ, რის შედეგადაც მასწავლებლები აღჭურვილნი არიან შესაბამისი ცოდნით, თუ რომელი დიაგნოზის/გართულებების მქონე ბავშვთან სწავლების რომელი მეთოდ(ებ)ი უნდა გამოიყენონ. შესაბამისად, მოსწავლის დიაგნოზის შესახებ ინფორმაციიდან ბავშვის თვისებებისა და საჭიროებების თაობაზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა, მათ შორის, ისგ ჯგუფის წევრ იმ მასწავლებლებსაც შეუძლიათ, რომლებიც სკოლაში არ ითავსებენ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის (ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი და ა.შ.) ფუნქცია-მოვალეობებს. სამინისტროს წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მოსწავლის მიერ რომელიმე კონკრეტული მედიკამენტის მიღების შესახებ ინფორმაციიდან გამომდინარე ისგ ჯგუფმა სწავლების სტრატეგიის დაგეგმვისას შესაძლოა მხედველობაში მიიღოს აღნიშნული მედიკამენტების მიღების შედეგად მოსალოდნელი/გამოხატული გვერდითი მოვლენები;

— სკოლის განმარტებით, თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით ყოველწლიურად იქმნება ისგ ჯგუფები და განისაზღვრება შესაბამისი შემადგენლობაც. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2022 წლის 12 სექტემბრის №2-54 ბრძანება 2022-2023 სასწავლო წლისთვის სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით ისგ ჯგუფების შექმნის შესახებ, რომლის თანახმად:

- სკოლაში სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით შეიქმნა 197 (ას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ისგ ჯგუფი;
- ყველა ისგ ჯგუფის შემადგენლობის მუდმივ წევრებად განისაზღვრნენ ორი სპეციალური მასწავლებელი და სკოლის დირექტორი. აღნიშნული მუდმივი წევრების გარდა თითოეულ ისგ ჯგუფში შედიან კონკრეტული მოსწავლის კლასის დამრიგებელი, სხვადასხვა საგნების მასწავლებლები, რომლებიც კონკრეტულ მოსწავლეს ასწავლიან, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ისგ ჯგუფების კოორდინატორებად განისაზღვრნენ შესაბამისი კლასის დამრიგებლები.

— სკოლაში არსებული მიმდინარე წლის ისგ ჯგუფების სხდომის ოქმების შესწავლის და სკოლის წარმომადგენლის ახსნა-განმარტების საფუძველზე დადგინდა, რომ გარდა ბრძანებით დამტკიცებული შემადგენლობისა, ისგ ჯგუფების სხდომებს ასევე ესწრება სკოლის ფსიქოლოგი. სკოლის განმარტებით, აღნიშნული პირი აგრეთვე მონაწილეობს ჯგუფების საქმიანობაში, მისი კომპეტენციისა და ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე;

— სკოლამ განმარტა, რომ თითოეული ისგ ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ოთხ სხდომას მართავს. ჯგუფის პირველი სხდომა სასწავლო წლის დასაწყისში იმართება, მასზე ბავშვის უნარები და საჭიროებები ფასდება და მიიღება გადაწყვეტილება, თუ რომელ საგნებში საჭიროებს მოსწავლე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. თითოეული ისგ ჯგუფის სხდომა ტარდება ცალ-ცალკე, ისე, რომ ყოველ კონკრეტულ სხდომას მხოლოდ აღნიშნული ჯგუფის წევრები, მათ შორის, კონკრეტული მოსწავლის მშობელი ესწრება;

— სკოლის განმარტებით, ისგ ჯგუფის სხდომები ტარდება სკოლის შენობაში (მოცემული დროისთვის · სკოლის შენობაში), პირისპირ შეხვედრის გზით. ჯგუფის თითოეულ სხდომაზე მატერიალური სახით დგება სხდომის ოქმი. სხდომის ოქმებს ადგენს კლასის დამრიგებელი. სკოლის განმარტებით, Covid-19-ის პანდემიის დროს ჯგუფის სხდომები დისტანციურად/ნაწილობრივ დისტანციურად, „Microsoft Teams"-ის გამოყენებით ტარდებოდა;

— სკოლაში არსებული ისგ ჯგუფის სხდომების ოქმების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ოქმებში მიეთითება: შესაბამისი მოსწავლის ვინაობა, კლასი; სხდომაზე დამსწრე პირების ვინაობები; სხდომის დღის წესრიგი; სხდომაზე დამსწრე პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებები; დღის წესრიგში არსებულ საკითხთან დაკავშირებით გამართული კენჭისყრის შედეგები; მიღებული გადაწყვეტილება;

— ისგ ჯგუფის პირველი სხდომის შემდეგ მოსწავლის კლასის დამრიგებელი და საგნების მასწავლებლები სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ფორმის მიხედვით ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
— კლასის დამრიგებელი „Microsoft Word"-ის დოკუმენტის სახით ქმნის მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ზოგადი ინფორმაციის შემცველ ნაწილს. ჩატარებული ადგილზე შემოწმებების ფარგლებში, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ზოგადი ინფორმაციის შემცველ ნაწილებში მითითებულია:
    - მოსწავლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ასაკი, კლასი, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები;
    - შესაბამისი ისგ ჯგუფის წევრთა ვინაობები და პოზიციები, ისგ ჯგუფის მიერ გამართული სხდომების თარიღები და მათზე დამსწრე ჯგუფის წევრების ვინაობები;
    - იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებშიც მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ესაჭიროება;
    - მოსწავლისთვის საჭირო დამატებითი სერვისების ჩამონათვალი (მაგ.: ენისა და მეტყველების სპეციალისტის დახმარება, ფსიქოლოგის დახმარება, ტრანსპორტით მომსახურება და ა.შ.);
    - გაკვეთილების ინდივიდუალური განრიგი;
    - მოსწავლის სწავლა-სწავლების ხელშემწყობი აკომოდაციების ჩამონათვალი (სასწავლო პროცესში დამხმარე მეთოდები (მაგ.: კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება, წერითი აქტივობის ზეპირით ჩანაცვლება, ტექსტის ლექსიკის გამარტივება და ა.შ.); გარემო პირობების ადაპტირების საჭიროება (მაგ.: საკლასო ოთახის მდებარეობა, მერხების განლაგება, ადაპტირებული ავეჯი და ა.შ.); სწავლების დროის ადაპტირების საჭიროებები (მაგ.: დროის გაზრდა, შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი, აქტივობების ნაწილებად დაყოფა და ა.შ.);
    - მოსწავლის აკადემიური და კოგნიტური უნარების აღწერა, რომელშიც კლასის დამრიგებლის მიერ დეტალურად არის მითითებული მოსწავლის ძლიერი მხარეები და საჭიროებები შემდეგ კომპონენტებში: წერა, კითხვა, თხრობა, ანგარიში, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, რეცეპტული ენა, ექსპრესიული ენა, თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, ურთიერთობები, თვითმოვლის უნარები, დამოუკიდებლობა, მსხვილი მოტორიკა, ნატიფი მოტორიკა, მოსწავლის ინტერესები;
— აღნიშნულის პარალელურად, თითოეული საგნის მასწავლებელი შესაბამის საგანში ასევე ელექტრონულად, „Microsoft Word"-ის დოკუმენტის სახით ქმნის ამ საგნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ადგილზე შემოწმებების ფარგლებში დათვალიერების, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საგნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში მასწავლებლები:
    - დეტალურად აღწერენ მოსწავლის ცოდნის დონეს კონკრეტული საგნის შესაბამის კომპონენტებთან მიმართებით;

- უთითებენ საგნის სწავლების ფარგლებში მოსწავლისთვის დასახულ გრძელვადიან მიზნებს;
- უთითებენ დასახული გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად მოსწავლისთვის განსაზღვრულ მოკლევადიან მიზნებს, დავალებებს და აქტივობებს;
- გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ე.წ. „სოლო ტაქსონომიაზე" დაფუძნებული შეფასების მოდელის მიხედვით უთითებენ შესაბამის შეფასებას.

— კლასის დამრიგებლის მიერ შექმნილი ზოგადი ინფორმაციის შემცველი ნაწილი და თითოეული საგნის მასწავლებლის მიერ შექმნილი საგნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ერთობლიობაში მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას წარმოადგენს;

— სკოლის განმარტებით, ისგ ჯგუფების მიერ შექმნილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სკოლის სამეურვეო საბჭოს თანხმობით ამტკიცებს სკოლის პედაგოგიური საბჭო. სკოლამ განმარტა, რომ მითითებული ორგანოები აღნიშნულ პროცესში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შინაარსზე და კონკრეტული მოსწავლეების მონაცემებზე წვდომას არ ახორციელებენ. სამსახურისთვის სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში მიცემულ ახსნა-განმარტებებში ზემოაღნიშნული ასევე დაადასტურეს სკოლის სამეურვეო საბჭოს და სკოლის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეებმა;

— 2022 წლის 9 ნოემბერს სატელეფონო კომუნიკაციის გზით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პედაგოგიური საბჭოს მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცების პროცესში კონკრეტული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შინაარსზე და მასში არსებულ მონაცემებზე წვდომის საჭიროება/აუცილებლობა არ არსებობს. მანვე აღნიშნა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცების პროცესში პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ჩართულობის კონკრეტულ ფორმასა და პროცედურას თითოეული სკოლა თავად განსაზღვრავს;

— ისგ ჯგუფის მეორე სხდომა სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასასრულისას იმართება და მასზე მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევის ხარისხი ფასდება. მესამე სხდომა სასწავლო წლის მეორე სემესტრის დასაწყისში იმართება და მასზე მოსწავლის შედეგებიდან გამომდინარე საგნობრივი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით განსაზღვრულ მიზნებში ცვლილებების/დამატებების შეტანის საკითხები განიხილება. სასწავლო წლის დასასრულისკენ იმართება ისგ ჯგუფის მეოთხე სხდომა, რომელიც მოსწავლის მიერ წლის განმავლობაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასახული მიზნების შესრულების საბოლოო შეჯამებას ემსახურება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შენახვა

— სკოლა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს ინახავს როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ქ. თბილისში, მდებარე ადმინისტრაციული შენობის

ნაცვლად დროებით ქ. თბილისში, სოფ. მდებარე სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლის (შემდგომში - სკოლა) ადმინისტრაციულ შენობაში ახორციელებს და მატერიალურ დოკუმენტაციას ორივე აღნიშნულ შენობაში ინახავს;

- ადგილზე შემოწმებების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ელექტრონულად მხოლოდ 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს ინახავს;
- ასევე დადგინდა, რომ კლასის დამრიგებლებს 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მათ მიერ შექმნილი ნაწილები (ზოგადი ინფორმაციის შემცველი ნაწილი), ასევე, ისგ ჯგუფების სხდომის ოქმები „Microsoft Word"-ის დოკუმენტების სახით, „Microsoft 365"-ის მათ სარგებლობაში არსებული მომხმარებლის მეშვეობით განთავსებული აქვთ „One Drive"-ის შესანახ სივრცეში. საგნის მასწავლებლები, აღნიშნული სასწავლო წლებისთვის, მათ მიერ შექმნილ შესაბამისი საგნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს საკუთარი მომხმარებლების მეშვეობით ასევე „One Drive"-ის შესანახ სივრცეში ინახავენ;
- საგნის მასწავლებლები მათ მიერ შენახულ საგნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს „One Drive"-ზე შექმნილი ბმულის მეშვეობით შესაბამისი კლასის დამრიგებელს უზიარებენ. ბმულის მეშვეობით შესაძლებელია „დრაივზე" განთავსებულ შესაბამის საქაღალდეზე/დოკუმენტზე წვდომა. ბმულის გაზიარება ხდება სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის როგორც კლასის დამრიგებლის მიერ შექმნილი, ისე თითოეული საგნის მასწავლებლის მიერ შექმნილი ნაწილი იმავე გზით სკოლის დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან ზიარდება;
- ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მომხმარებელთან - დაკავშირებულ „One Drive"-ის შესანახ სივრცეში განთავსებულია „Microsoft Excel"-ის დოკუმენტი, რომელშიც სიის სახით არის მოცემული სკოლის ყველა მოსწავლის 2021-2022 სასწავლო წლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე წვდომისთვის განკუთვნილი ბმულები. აღნიშნულ მომხმარებელზე და შესანახ სივრცეზე წვდომა აქვთ მხოლოდ სკოლის დირექტორს და დირექტორის მოადგილეს. მათი განმარტებით, ზემოთ მითითებული დოკუმენტი მხოლოდ მათ მიერ სარგებლობისთვის არის შექმნილი და მისი სხვა პირებისთვის გაზიარება არ ხდება;
- 2022-2023 სასწავლო წლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ზოგადი ინფორმაციის შემცველ ნაწილებს სკოლა მატერიალურადაც ინახავს, სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე საკლასო ოთახებში. თითოეული კლასის დამრიგებელი მის მოსწავლეებთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს შესაბამისი კლასის საკლასო ოთახში, საკეტით ჩაკეტილ კარადაში ინახავს. მათთან ერთად ინახება მიმდინარე სასწავლო წელს შესაბამისი ისგ ჯგუფების მიერ გამართული სხდომების ოქმებიც. საკეტის გასაღები მხოლოდ კლასის დამრიგებელს აქვს;
- 2022-2023 სასწავლო წლის საგნობრივი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მხოლოდ ელექტრონული სახით, „One Drive"-ის შესანახ სივრცეში, „Microsoft Word"-ის დოკუმენტების სახით ინახება. სკოლის განმარტებით, სასწავლო წლის მიმდინარეობისას

მიზანშეწონილია საგნობრივი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ამ სახით შენახვა, ვინაიდან აღნიშნული ამარტივებს საჭიროების შემთხვევაში მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას;

— 2021-2022 სასწავლო წლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ზოგადი ინფორმაციის შემცველი ნაწილები მატერიალური სახით ქ. თბილისში, მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში ინახება. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტები შენობაში მდებარე დირექციის კაბინეტში, საკეტით დაკეტილ უჯრებშია განთავსებული, მოსწავლეების პირად საქმეებთან ერთად. პირად საქმეებთან ერთად ინახება აღნიშნულ მოსწავლეებთან დაკავშირებით არსებული მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების მატერიალური ასლები და მითითებულ სასწავლო წელს გამართული ისგ ჯგუფების სხდომების ოქმებიც. თითო უჯრაში მხოლოდ ერთი კლასის მოსწავლეთა დოკუმენტები ინახება და უჯრის კარზე კლასის დამრიგებლის სახელია დატანილი. უჯრების გასაღებები დირექტორთან ინახება და მათზე წვდომა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კლასის დამრიგებლებს ეძლევათ;

— 2020-2021 სასწავლო წლის და წინა წლების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ქ. თბილისში, მდებარე შენობაში არსებულ არქივის ოთახში ინახება. მატერიალურად შენახული ყველაზე ძველი დოკუმენტები 2013 წლით თარიღდება. თითოეული კლასის ყოველი სასწავლო წლის დოკუმენტები დალუქულ პოლიეთილენის პარკებშია მოთავსებული. დოკუმენტაცია რაიმე სხვა სტრუქტურირებული თანმიმდევრობით დალაგებული არ არის. არქივის ოთახი გასაღებით იკეტება და გასაღები სკოლის საქმისმწარმოებელს აქვს;

— ჩატარებული ადგილზე შემოწმებების, ასევე, დისტანციური შეხვედრის ფარგლებში სკოლის მიერ „ESchool"-ში (ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) განთავსებული მონაცემების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მიერ შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების აღნიშნულ ელექტრონულ სისტემაში განთავსება არ ხდება;

— სკოლის განმარტებით, მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის" (შემდგომში - №113/ნ ბრძანება) შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, როგორც პირადი საქმის ნაწილი, სკოლაში 75 წლის განმავლობაში ინახება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მესამე პირებისთვის გადაცემა

— სკოლამ განმარტა, რომ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მესამე პირებს გადაეცემათ შემდეგ შემთხვევებში:
  - მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში - შესაბამის სკოლას;
  - ინკლუზიური განათლების გარე მონიტორინგის განხორციელების პროცესში - მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს.

- სკოლის განმარტებით, მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მიმდინარე წლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოსწავლის ახალ სკოლაში იგზავნება ფოსტის მეშვეობით, მატერიალური სახით, მოსწავლის პირად საქმესთან ერთად, რომელსაც ასევე დაერთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა და მიმდინარე წლის განმავლობაში ისგ ჯგუფის მიერ გამართული სხდომების ოქმები. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში წინა სასწავლო წლების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები პირად საქმესთან ერთად სხვა სკოლაში არ იგზავნება. აღსანიშნავია, რომ პირადი საქმის სხვა სკოლაში გაგზავნის დროს გასაგზავნი დოკუმენტები საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში არ იტვირთება;
- სკოლის განმარტებით, ხშირია მოსწავლეების სხვა საჯარო სკოლებში გადასვლის შემთხვევები. მოსწავლის კერძო სკოლაში გადასვლის და მისი პირადი საქმის კერძო სკოლისთვის გაგზავნის შემთხვევა სკოლას არ ჰქონია;
- სკოლის განმარტებით, ინკლუზიურ განათლებაზე გარე მონიტორინგის ფარგლებში მულტიდისციპლინური გუნდის წევრი ადგილზე ეცნობა სკოლაში არსებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, სკოლის დირექციასთან/მასწავლებლებთან გასაუბრების გზით აგროვებს ინფორმაციას გეგმების საფუძველზე მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ და პროცესის დასასრულს ამზადებს შესაბამის დასკვნას, რომელიც მოგვიანებით გასაცნობად ეგზავნება სკოლას;
- სკოლამ წარმოადგინა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სკოლაში 2017 და 2019 წელს განხორციელებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგის ანგარიშები, რომლებიდანაც ირკვევა, რომ მულტიდისციპლინური გუნდის წევრი გაეცნო სკოლაში არსებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და მათი შემუშავების პროცესში მომზადებულ დოკუმენტაციას, შეაფასა მათი შინაარსობრივი მხარე, განსაზღვრა გამოვლენილი ნაკლოვანებები და შესაბამისი რეკომენდაციები. სკოლის განმარტებით, 2019 წლის შემდეგ სკოლაში ინკლუზიური განათლების გარე მონიტორინგი არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნული მონიტორინგის ანგარიშების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მათში მოსწავლეების მონაცემები მითითებული არ არის;

მონაცემთა უსაფრთხოება

- „One Drive"-ით (შემდგომში - „დრაივი") სარგებლობისთვის სკოლის ყველა მასწავლებელს აქვს განპიროვნებული მომხმარებელი და პაროლი. „დრაივზე" ახალი მოწყობილობის ავტორიზაციისათვის საჭიროა ორმაგი აუთენთიფიკაცია, კერძოდ, პაროლისა და მობილური ტელეფონის ნომერზე მოსული მოკლე ტექსტური შეტყობინების გამოყენებით;
- „დრაივზე" შესასვლელი მომხმარებელი და პაროლი სკოლის თანამშრომლებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ენიჭებათ;
- „დრაივი" აღრიცხავს მონაცემთა მიმართ შესრულებულ მოქმედებებს, კერძოდ, დამატებას, დათვალიერებას, ცვლილებას, წაშლას. ამასთანავე, ფაილის თითოეული რედაქტირების შემდეგ ხდება რედაქტირებამდელი ვერსიების შენახვა ამ ფაილის წაშლამდე;

— „დრაივზე“ არსებულ ფაილებზე წვდომა ხდება როგორც სამსახურებრივი, ისე პირადი კომპიუტერებიდან. სამსახურებრივი კომპიუტერები დაცულია ანტივირუსით;
— კომპიუტერებზე ავტორიზაციისათვის გამოიყენება მომხმარებელი და პაროლი, თუმცა ადგილზე შემოწმებისას დაფიქსირდა, რომ ერთ-ერთი სამსახურებრივი კომპიუტერის გამოყენება პაროლის მითითების გარეშე იყო შესაძლებელი;
— ადგილზე შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების სკოლის დირექტორისა და დირექტორის მოადგილისათვის გაზიარება ხდებოდა ისეთი ბმულის მეშვეობით, რომლის მოპოვების შემთხვევაში ნებისმიერ პირს შეეძლებოდა აღნიშნულ დოკუმენტებზე წვდომა. ასევე დადგინდა, რომ „დრაივის“ ტექნიკური მახასიათებლები იძლევა დოკუმენტების გასაზიარებლად იმგვარი ბმულების შექნის შესაძლებლობას, რომელთა მეშვეობითაც დოკუმენტზე წვდომის უფლება მხოლოდ კონკრეტულ ადრესატს მიენიჭება;
— „Microsoft 365“-ის მომხმარებლების ადმინისტრირებას სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ახორციელებს. ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში „Microsoft 365“-ის ადმინისტრატორს (Global Administrator-ს) აქვს სკოლის თანამშრომლების „დრაივზე“ წვდომის მოპოვების შესაძლებლობა. აღნიშნული როლი (Global Administrator) „Microsoft 365“-ის გარემოში აქვთ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ორ თანამშრომელს

სამოტივაციო ნაწილი

განცხადების განხილვის ფარგლებში სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ გამოვლინდა შემდეგ გარემოებათა გამო:

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი (შემდგომში - მონაცემი) არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება განმარტებულია, როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. ამავე მუხლის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტების მიხედვით, მონაცემთა სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება,

ხოლო მონაცემთა დამმუშავებელი არის საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლაში სწავლობს 200 (ორასი) მოსწავლე. თითოეული მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვამდე მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ფასდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და იქმნება შესაბამისი დასკვნა, რომელიც ეგზავნება სკოლას. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მოსწავლის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებთან ერთად (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ა.შ.) აღინიშნება მისი დიაგნოზი, მედიკამენტების მიღების სიხშირე და ხანგრძლივობა, ინფორმაცია მოსწავლის სოციალური ისტორიის, ოჯახური გარემოს და საგანმანათლებლო გამოცდილების, მოსწავლის კოგნიტური, აკადემიური, მოტორული და ფუნქციური უნარების, ქცევებისა და ემოციის, კომუნიკაციის, ინტერესების/მიდრეკილებების შესახებ, შესაბამისი რეკომენდაციები და ა.შ. სკოლა, მოსწავლეთა შესახებ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოწოდებული, ასევე, სკოლის ისგ ჯგუფის მიერ მოსწავლეზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციისა და შეფასებების საფუძველზე, თითოეული მოსწავლისთვის, ყოველწლიურად ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. აღნიშნულ დოკუმენტებში სკოლა დეტალურად ასახავს არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, ისევე, როგორც ინფორმაციას მისი აკადემიური და კოგნიტური უნარების შესახებ, მათ შორის, მისი შესაძლებლობების და სუსტი მხარეების დახასიათებას ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, რეცეპტული ენის, ექსპრესიული ენის, თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, მსხვილი და ნატიფი მოტორიკის კომპონენტებში და ა.შ. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ასევე აისახება ინფორმაცია მოსწავლისთვის სწავლების პროცესში საჭირო დამატებითი სერვისების, ხელშემწყობი აკომოდაციების შესახებ და სხვა. ასევე დადგინდა, რომ სკოლა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს ინახავს როგორც მატერიალურად, სკოლის შენობაში, ისე ელექტრონულად, „დრაივზე", „Microsoft Word"-ის დოკუმენტების სახით. აღნიშნული ელექტრონული დოკუმენტების შესანახად გამოყენებული „დრაივის" ადმინისტრირებას და მასზე წვდომისთვის განკუთვნილი მომხმარებლებისა და პაროლების სკოლის თანამშრომლებისთვის შექმნას და გადაცემას სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ახორციელებს. შემოწმების ფარგლებში ასევე გამოირკვა, რომ სკოლა განსაზღვრულ შემთხვევებში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სხვა სკოლებს და მულტიდისციპლინურ გუნდს გადასცემს. ამდენად, კანონის მე-2 მუხლის „ა", „ბ", „დ", „ვ" და „ი" ქვეპუნქტების საფუძველზე, სახეზეა მონაცემთა სუბიექტების - სკოლის სსსმ მოსწავლეების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მიღების, გამოყენების, შენახვის და გადაცემის გზით დამუშავება, ხოლო აღნიშნულ პროცესში მონაწილეობს სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის, შენახვის და მესამე პირებისთვის გადაცემის ფარგლებში მოსწავლეების მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპებთან შესაბამისობა

კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით, ასევე, თუ ეს საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. ამასთან, კანონის მე-6 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია, თუ მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით მუშავდება.

მოცემულ შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავების საფუძვლების არსებობის საკითხის სათანადოდ გამორკვევის მიზნით აუცილებელია, შეფასდეს ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის, ინკლუზიური განათლების და სკოლის, როგორც აღნიშნულ პროცესში ჩართული სუბიექტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. კერძოდ:

— „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის:
- მე-2 მუხლის:
  - „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზოგადი განათლების „მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მომზადება.“;
  - „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინკლუზიური განათლება არის „თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.“;
  - „ყ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის „მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.“;
  - „ჩ[2]“ ქვეპუნქტის თანახმად, სსსმ მოსწავლე არის „„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოსწავლე, აგრეთვე მოსწავლე, რომელსაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები აქვს, ვერ ასრულებს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტირებას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.“;

- „ჩ[7]ა“ ქვეპუნქტის თანახმად, რესურსსკოლა არის „სენსორული ან/და მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სკოლა, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, აგრეთვე, სათანადო პროგრამებით/სერვისებით უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს.“.

- მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა“, ხოლო ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს, მათ შორის, ინკლუზიური განათლების დანერგვას;
- მე-5 მუხლის 1-ლი და 1[1] პუნქტების მიხედვით, „ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლითაც განისაზღვრება: სწავლა-სწავლების მიზნები, თითოეულ საგანში შესაძენი ცოდნა და საგანმანათლებლო პრინციპები, რომელთაც სწავლა-სწავლების მეთოდიკა და შეფასების სისტემა უნდა დაეფუძნოს, აგრეთვე, ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნობრივი ჯგუფები, საგნების მიხედვით საათები, მათი განაწილება და აუცილებელი დატვირთვა, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები,“, ამასთან, სსსმ მოსწავლისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
- მე-9 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების მიხედვით,
  - „ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა.“;

- „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის გამოიყენება ალტერნატიული სასწავლო გეგმა, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მისი სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით, რომელთა დაფინანსებას სახელმწიფო უზრუნველყოფს.";

- 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „მ" ქვეპუნქტის მიხედვით, სამინისტრო ვალდებულია, მიიღოს ზომები ყველა მოსწავლის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიერ ზოგადი განათლების მისაღებად; შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი;
- 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, შექმნას ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები.

— მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებულია „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი" (შემდგომში - №16/ნ ბრძანება). აღნიშნული წესების და მექანიზმის:

- 22-ე მუხლის „გ" და „ვ" ქვეპუნქტების თანახმად, სსსმ მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ვალდებულია:
  - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე პირის სკოლაში ჩარიცხვისთანავე ან მოსწავლისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებისთანავე დაიწყოს ზრუნვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე.";
  - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე პირის სკოლაში ჩარიცხვისთანავე ან მოსწავლისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებისთანავე განახორციელოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მიზნით.".

მითითებული ნორმები, ასევე, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა ეფექტიანი მექანიზმებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროების შესაბამისი ტექნოლოგიების, ტექნიკისა და საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით უზრუნველყოს ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა, მისცეს სსსმ პირებს უწყვეტი განათლების მიღების, საკუთარი პიროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების რეალიზების შესაძლებლობა. თავის მხრივ, ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება - ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. ზოგადი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების დანერგვის ფარგლებში, სსსმ მოსწავლეების სწავლების, სოციალური ადაპტაციის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ სკოლაში ჩარიცხული სსსმ მოსწავლეებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და თითოეული მათგანის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის და №16/ნ ბრძანების თანახმად, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის შეფასების და შესაბამისი დასკვნის მომზადების შედეგად დასტურდება. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის ფორმა კი მინისტრის 2022 წლის 3 ნოემბრის №MES 4 22 0001402071 ბრძანებით არის დამტკიცებული, რომლის მიხედვით, დასკვნაში დეტალურად აისახება გამოყენებული შეფასების მეთოდები და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ინფორმაცია მოსწავლის კოგნიტური, აკადემიური, მოტორული და ფუნქციური უნარების, ქცევებისა და ემოციის, კომუნიკაციის, ინტერესების/მიდრეკილებების შესახებ, მიეთითება მოსწავლის დიაგნოზი, ინფორმაცია მედიკამენტების მიღების შესახებ, მოსწავლის სოციალური ისტორია და ინფორმაცია მისი ოჯახური გარემოს და საგანმანათლებლო გამოცდილების შესახებ. დასკვნაში ასევე აღინიშნება მოსწავლისთვის ყველა ან რომელიმე საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანშეწონილობა და რეკომენდაციები კონკრეტული მოსწავლის სწავლების პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების, ინვენტარის, დავალებების/სავარჯიშოების, სახელმძღვანელო ლიტერატურის, სწავლების პროცესში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტ(ებ)ის ჩართვის შესახებ. მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შესახებ ზემოაღნიშნული დასკვნა ეგზავნება სკოლას, რის შემდეგაც სკოლა ვალდებულია, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის გზით შექმნას კონკრეტული სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებზე, კოგნიტურ, აკადემიურ, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალურ, ქცევით, ემოციურ, მოტორულ და სხვა სფეროებში

მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აღნიშნულ გეგმაში დეტალურად უნდა განისაზღვროს კონკრეტული კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელი სასწავლო შედეგები, სასწავლო სტრატეგიები და აქტივობები, განსაზღვრული სასწავლო შედეგების მისაღწევად განკუთვნილი დრო, მოსწავლისთვის საჭირო დამატებითი ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობების ხანგრძლივობა, ადგილი და მათზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი საგანმანათლებლო/განმავითარებელი და სხვა დამატებითი ტექნიკური რესურსები.

ასევე აღსანიშნავია, რომ №113/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სსსმ მოსწავლის პირად საქმეს დაერთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფის ყველა შეხვედრაზე წარმოებული სხდომის ოქმები და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები. ამასთან, ამავე ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მოსწავლის პირადი საქმის დედნის გატანა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის მობილობისას, მიმღები სკოლიდან წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში. გასაგზავნად მომზადებული მოსწავლის პირადი საქმე თავსდება კონვერტში, ფორმდება საფოსტო გზავნილად და მიმღებ სკოლას ეგზავნება დალუქულ მდგომარეობაში.

შემოწმების ფარგლებში გამოირკვა, რომ მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მხოლოდ მიმდინარე წლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იგზავნება მოსწავლის ახალ სკოლაში, ფოსტის მეშვეობით, მატერიალური სახით და გასაგზავნი დოკუმენტები საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში არ იტვირთება. ამასთან, მოსწავლის პირად საქმესთან ერთად, სხვა სკოლაში იგზავნება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა და მიმდინარე წლის განმავლობაში ისგ ჯგუფის მიერ გამართული სხდომების ოქმები.

ამასთან, №16/ნ ბრძანების 1-ლი პუნქტის თანახმად, ინკლუზიურ განათლებაზე გარე მონიტორინგს ახორციელებს სამინისტრო ან/და სამინისტროს მიერ განსაზღვრული შესაბამისი ორგანო/ორგანიზაცია, როგორც სკოლის წინასწარი შეტყობინებით, ასევე შეტყობინების გარეშე.

შემოწმების ფარგლებში გამოირკვა, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების გარე მონიტორინგს მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს. მონიტორინგის ფარგლებში მულტიდისციპლინური გუნდის წევრი ადგილზე ეცნობა სკოლაში არსებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, სკოლის დირექციასთან/მასწავლებლებთან გასაუბრების გზით აგროვებს ინფორმაციას გეგმების საფუძველზე მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ და პროცესის დასასრულს ამზადებს შესაბამის დასკვნას. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ 2017 და 2019 წელს განხორციელებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგის ანგარიშები, რომლებიდანაც ირკვევა, რომ მულტიდისციპლინური გუნდის წევრი გაეცნო სკოლაში არსებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და მათი შემუშავების პროცესში მომზადებულ დოკუმენტაციას, შეაფასა

მათი შინაარსობრივი მხარე და განსაზღვრა შესაბამისი რეკომენდაციები. სკოლამ განმარტა, რომ 2019 წლის შემდეგ სკოლაში ინკლუზიური განათლების გარე მონიტორინგი არ განხორციელებულა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, როგორც შემოწმების ფარგლებში დადგინდა, სკოლის მიერ ელექტრონული სახით არსებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესანახად გამოყენებული „დრაივის" ტექნიკურ ადმინისტრირებას და სკოლის თანამშრომლებისთვის „დრაივზე" წვდომისთვის გამოსაყენებელი მომხმარებლების შექმნას და გადაცემას სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების თანახმად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციებია:

— „განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა ამ სისტემაში ერთიანი საინფორმაციო საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებით";
— „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა".

ამასთან, მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების" მე-10 მუხლის „გ" და „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციებს შორისაა: „ერთიანი საგანმანათლებლო ქსელის მოწყობა, მართვა და მონიტორინგი, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში – საგანმანათლებლო რესურსცენტრებში ლოკალური ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა, მართვა და მონიტორინგი;"; „ელექტრონული სერვისების ადმინისტრირება და მხარდაჭერა;".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ სკოლის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის, შენახვის და განსაზღვრულ შემთხვევებში აღნიშნული დოკუმენტების სხვა სკოლებისთვის და მულტიდისციპლინური გუნდისთვის გადაცემის პროცესში მოსწავლეების მონაცემების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება და აღნიშნულ პროცესში სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაწილეობა გათვალისწინებულია კანონით, გამომდინარეობს სკოლისთვის და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის შესაბამისი დარგობრივი კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობებიდან და საჭიროა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების სრულყოფილად რეალიზებისთვის. შესაბამისად, სკოლის მიერ მოსწავლეების მონაცემების დამუშავების აღნიშნულ პროცესში კანონის მე-5 და მე-6 მუხლების დარღვევა არ იკვეთება.

ხაზგასასმელია, რომ მონაცემთა დამუშავების საფუძვლის არსებობასთან ერთად, მონაცემთა დამუშავების კანონიერებისთვის აუცილებელია დაცული იქნეს მონაცემთა დამუშავების

პრინციპები, რომლებსაც კანონის მე-4 მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის. კერძოდ, მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად; მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით; მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი; მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს; მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას ისგ ჯგუფების მეშვეობით ახორციელებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით ყოველი მოსწავლისთვის ინდივიდუალური ისგ ჯგუფია შექმნილი და დამტკიცებულია თითოეული ჯგუფის შემადგენლობა. დირექტორის ბრძანების თანახმად, ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედის ორი სპეციალური მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, კონკრეტული მოსწავლის კლასის დამრიგებელი, სხვადასხვა საგნების მასწავლებლები, რომლებიც კონკრეტულ მოსწავლეს ასწავლიან და შესაბამისი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ასევე დადგინდა, რომ ისგ ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობას იღებს სკოლის ფსიქოლოგი. ისგ ჯგუფები სასწავლო წლის განმავლობაში მართავენ სხდომებს, რომლებზეც მოსწავლის შესახებ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სკოლისთვის მოწოდებული და საკუთარი დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განიხილავენ და აფასებენ კონკრეტული მოსწავლის უნარებსა და საჭიროებებს, ამა თუ იმ საგანში მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობას და შესაბამისი გეგმების შინაარსს/შექმნილ გეგმებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას. მიმდინარე წლის ისგ ჯგუფის სხდომები სკოლის შენობაში (მოცემული დროისთვის - სკოლის შენობაში) პირისპირ შეხვედრის გზით ტარდება ცალ-ცალკე, ისე, რომ ყოველ კონკრეტულ სხდომას სკოლის შესაბამის წარმომადგენლებთან ერთად მხოლოდ იმ მოსწავლის მშობელი ესწრება, რომლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის საკითხიც განიხილება. ჯგუფის თითოეულ სხდომაზე კლასის დამრიგებლის მიერ დგება სხდომის ოქმი, რომელშიც მიეთითება შესაბამისი მოსწავლის ვინაობა, კლასი, სხდომაზე დამსწრე პირების ვინაობები, სხდომის დღის წესრიგი, სხდომაზე დამსწრე პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, დღის წესრიგში არსებულ საკითხთან დაკავშირებით გამართული კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ისგ ჯგუფის პირველ სხდომაზე

მოსწავლის უნარებისა და მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების შეფასების პროცესში ისგ ჯგუფის ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსწავლის არაერთი მონაცემია მითითებული, მათ შორის: განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები და შეფასების შედეგად გამოკვეთილი დეტალური ინფორმაცია მოსწავლის უნარებისა და საჭიროებების შესახებ, მოსწავლის დიაგნოზი, ინფორმაცია მედიკამენტების მიღების შესახებ, მოსწავლის სოციალური ისტორია, ოჯახური გარემოს და საგანმანათლებლო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, მოსწავლისთვის ამა თუ იმ საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება, კონკრეტული რეკომენდაციები მოსწავლის სწავლების პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების/ინვენტარის/ლიტერატურის შესახებ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ შემოწმების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ზედმიწევნით უნდა ერგებოდეს კონკრეტული მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოსწავლის ყველა უნარისა და მახასიათებლის გათვალისწინებით უნდა განსაზღვრავდეს კონკრეტული მოსწავლის სწავლებისთვის გამოსაყენებლად ეფექტურ სტრატეგიასა და მეთოდებს. შესაბამისად, ისგ ჯგუფი ვალდებულია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნისას დეტალურად გააანალიზოს მის ხელთ არსებული ყველა ის ინფორმაცია, რომელიც კავშირშია მოსწავლის უნარებთან და საჭიროებებთან და გამოსადეგია მისთვის მაქსიმალურად თავსებადი სასწავლო პროცესის დასაგეგმად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მითითებული ინფორმაცია მოსწავლის შეფასების შედეგად გამოკვეთილი უნარებისა და საჭიროებების შესახებ, ასევე, ინფორმაცია მოსწავლის სოციალური ისტორიის, ოჯახური გარემოსა და საგანმანათლებლო გამოცდილების შესახებ, ამა თუ იმ საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი რეკომენდაციები სწორედ ის ინფორმაციაა, რომელიც გამოსადეგია ისგ ჯგუფის მიერ კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლების ზუსტად იდენტიფიცირებისთვის და საჭიროა ისგ ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად. რაც შეეხება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მოცემულ ინფორმაციას აღნიშნული გუნდის მიერ მოსწავლის შესაფასებლად გამოყენებული ტესტების/მეთოდების, მოსწავლის დიაგნოზის და მოსწავლის მიერ მედიკამენტების მიღების შესახებ - სკოლის განმარტებით, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გამოყენებული ტესტების/შეფასების მეთოდების შესახებ ინფორმაცია ისგ ჯგუფს ეხმარება, სრულყოფილად აღიქვას მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგები, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ მეთოდებთან მიმართებით თავადაც შეაფასოს მოსწავლე და შეიქმნას წარმოდგენა ამა თუ იმ უნარის თვალსაზრისით მოსწავლის პროგრესზე. სკოლამ ასევე მიუთითა, რომ მოსწავლის დიაგნოზის შესახებ მონაცემები ისგ ჯგუფის წევრებს ეხმარებათ სასწავლო პროცესის არასრულწლოვნის სამედიცინო საჭიროებებთან თავსებადი ფორმით დაგეგმვაში, ისეთი დავალებებისა და აქტივობების გაწერის/გამოყენების უზრუნველყოფაში, რომლებიც

არ მოახდენს კონკრეტული დიაგნოზისთვის მახასიათებელი სიმპტომების პროვოცირებას და უარყოფითად არ იმოქმედებს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე/ფსიქოლოგიურ ფონზე. ისგ ჯგუფის მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტურად განხორციელებისთვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გამოყენებული ტესტების/მეთოდების, ასევე, მოსწავლის დიაგნოზის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზანშეწონილობა სამინისტრომაც დაადასტურა და დამატებით აღნიშნა, რომ სსსმ მოსწავლეების სწავლებაში ჩართული ყველა მასწავლებელი გადის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსებს ინკლუზიური განათლების შესახებ, რის შედეგადაც მასწავლებლები აღჭურვილნი არიან სათანადო ცოდნით, თუ რომელი დიაგნოზის/გართულებების მქონე მოსწავლესთან სწავლების რომელი მეთოდ(ებ)ი უნდა გამოიყენონ. მოსწავლის მიერ მედიკამენტების მიღების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით კი აღსანიშნავია, რომ, სკოლის მითითებით, სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისა და წარმართვის, ასევე, მოსწავლისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით ისგ ჯგუფისთვის მითითებული ინფორმაციაც გამოსადეგია. აღნიშნული სამინისტრომაც დაადასტურა და განმარტა, რომ მოსწავლის მიერ რომელიმე კონკრეტული მედიკამენტის მიღების შესახებ ინფორმაციიდან გამომდინარე ისგ ჯგუფმა სწავლების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებისას შესაძლოა მხედველობაში მიიღოს აღნიშნული მედიკამენტების მიღების შედეგად მოსალოდნელი/გამოხატული გვერდითი მოვლენები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მოცემული, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ისგ ჯგუფის ყველა წევრისთვის თანაბრად ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ჯგუფის წევრების საქმიანობისა და ფუნქცია-მოვალეობების მარეგულირებელი შემდეგი ნორმები:

№16/ნ ბრძანების მე-2 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტების, 24-ე მუხლის „ა“, „ე“, ,“ვ“, „თ“ ქვეპუნქტების და 28-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „ვ“ ქეპუნქტების თანახმად:

— სსსმ მოსწავლის შესაბამისი საგნის მასწავლებელი:

- აკვირდება მოსწავლის მიერ გამოხატულ პროგრესს სწავლაში და აფასებს მისი მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) დონეს, ახდენს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელის დროულ იდენტიფიცირებას;
- მონაწილეობს ისგ ჯგუფის საქმიანობაში;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღწევების ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მიმართავს სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებს;

- თანამშრომლობს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან/კლასის დამრიგებელთან/ ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში.

— ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს განეკუთვნებიან სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ჟესტური ენის სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი;

— სპეციალური მასწავლებელი არის მასწავლებელი, რომელიც სსსმ მოსწავლეს ასწავლის დაწყებით საფეხურზე და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესში მის ჩართვას დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე. აღნიშნული მასწავლებელი:

- აღწერს მოსწავლის აკადემიურ, კოგნიტურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ფსიქოემოციურ, ქცევით, ფუნქციურ და მოტორულ უნარებს და შეიმუშავებს მოსწავლის სწავლასთან გამოხატული სიძნელის პირველადი მართვის რეკომენდაციებს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, კლასის დამრიგებლის, მასწავლებლის, სკოლის დირექციისათვის;
- ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესით მონაწილეობს ისგ ჯგუფის საქმიანობაში;
- მონაწილეობს სკოლის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაში.

— ფსიქოლოგი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირია, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა კოგნიტური, აკადემიური, სოციალური და ფუნქციონალური უნარების შეფასებას, მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესში, უწევს კონსულტირებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებლებსა და სხვა სპეციალისტებს, სსსმ მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიების და ქცევის მართვის შესახებ. ფსიქოლოგი:

- აფასებს და აღწერს სსსმ მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ და ფუნქციურ უნარებს;
- მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესში;
- კონსულტაციას უწევს სსსმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებლებს და სხვა სპეციალისტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიების, ქცევის მართვის და ა.შ. შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელთან ერთად შეიმუშავებს სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებულ სასწავლო მასალას.

ზემოთმითითებული ნორმებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ როგორც ფსიქოლოგი და სპეციალური მასწავლებელი, ისე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის სტატუსის არმქონე მასწავლებელი, რომელიც სსსმ მოსწავლეს რომელიმე საგანს ასწავლის,

მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში და პასუხისმგებელია გეგმის შინაარსსა და მისი იმპლემენტაციის შედეგად მოსწავლის ცოდნისა და უნარების გასაუმჯობესებლად მიღებულ შედეგებზე. ამასთან, სამინისტროს განმარტებით, იგი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის სწავლებაში ჩართული ყველა მასწავლებლის აღჭურვას იმგვარი ცოდნით, რომლითაც ისინი შეძლებენ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მითითებული ინფორმაციიდან, მათ შორის, მოსწავლის დიაგნოზის შესახებ მონაცემებიდან გამოიტანონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნისთვის რელევანტური შესაბამისი დასკვნები და გამოიყენონ ეს ინფორმაცია მათი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. ამდენად, ირკვევა, რომ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის და მასში მითითებული მონაცემების ისგ ჯგუფის ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომობა შესაბამისობაშია სსსმ მოსწავლეების განათლების უფლების სრულყოფილად რეალიზების ლეგიტიმურ მიზანთან და ამ თვალსაზრისით კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა არ იკვეთება.

შემოწმების ფარგლებში ასევე გამოირკვა, რომ ისგ ჯგუფის პირველი სხდომის შემდეგ სხდომაზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე მოსწავლის კლასის დამრიგებელი და შესაბამისი საგნების მასწავლებლები სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ფორმის მიხედვით ქმნიან მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. კერძოდ, კლასის დამრიგებელი „Microsoft Word"-ის დოკუმენტის სახით ქმნის გეგმის ზოგადი ინფორმაციის შემცველ ნაწილს, რომელშიც უთითებს მოსწავლის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი და ა.შ.), მოსწავლისთვის საჭირო დამატებითი სერვისების და სწავლა-სწავლების ხელშემწყობი აკომოდაციების ჩამონათვალს, გაკვეთილების ინდივიდუალურ განრიგს, მოსწავლის აკადემიური და კოგნიტური უნარების დეტალურ აღწერას და ა.შ. ამასთან, თითოეული საგნის მასწავლებელი ასევე „Microsoft Word"-ის დოკუმენტის სახით ქმნის შესაბამის საგანში მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც აღწერს მოსწავლის ცოდნის დონეს კონკრეტული საგნის შესაბამის კომპონენტებთან მიმართებით, უთითებს საგნის სწავლების ფარგლებში მოსწავლისთვის დასახულ გრძელვადიან მიზნებს, გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად მოსწავლისთვის განსაზღვრულ მოკლევადიან მიზნებს, დავალებებს და აქტივობებს, ასევე, გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ უთითებს მოსწავლის მიღწევების შეფასებას. აღსანიშნავია, რომ კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ შექმნილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში მითითებული მონაცემების მოცულობა შეესაბამება ზემოაღნიშნული დარგობრივი კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ მიზანს და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა არც ამ თვალსაზრისით იკვეთება.

შემოწმების ფარგლებში ასევე გამოირკვა, რომ სკოლის სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები ჩართული არიან ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცების პროცესში. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, „სამეურვეო საბჭო გამოხატავს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ

შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის, თაობაზე.". ამავე კანონის 46-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, „პედაგოგიური საბჭო ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს;", ხოლო ა[1] პუნქტის მიხედვით, „საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;". ამასთან, მითითებული კანონის მე-2 მუხლის „ყ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. ეროვნული სასწავლო გეგმის 42[1] მუხლის შესაბამისად კი, სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან და ანგარიშს წარუდგენს მათ შორის პედაგოგიურ საბჭოს.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პედაგოგიური საბჭოს მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცების პროცესში კონკრეტული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შინაარსზე და მასში არსებულ მონაცემებზე წვდომის საჭიროება/აუცილებლობა არ არსებობს. მისივე მითითებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცების პროცესში პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ჩართულობის კონკრეტულ ფორმასა და პროცედურას თითოეული სკოლა თავად განსაზღვრავს. სკოლის წარმომადგენლის, ასევე, სკოლის სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეების განმარტებების მიხედვით, მითითებული ორგანოები ზემოაღნიშნულ პროცესში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შინაარსზე და კონკრეტული მოსწავლეების მონაცემებზე წვდომას არ ახორციელებენ.

რაც შეეხება მონაცემების დამუშავების ვადას, შემოწმების ფარგლებში გამოირკვა, რომ კლასის დამრიგებლები ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მათ მიერ შექმნილ ნაწილებს (ზოგადი ინფორმაციის შემცველი ნაწილი), „Microsoft Word"-ის დოკუმენტების სახით, „Microsoft 365"-ის მათ სარგებლობაში არსებული მომხმარებლების მეშვეობით „დრაივზე" ინახავენ. კერძოდ, როგორც გამოირკვა, „დრაივზე" განთავსებულია 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლების დოკუმენტები. ამასთან, 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ზოგადი ინფორმაციის შემცველი ნაწილები სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში მატერიალური სახითაც ინახება. ასევე გამოვლინდა, რომ საგნის მასწავლებლები აღნიშნული სასწავლო წლებისთვის მათ მიერ შექმნილ შესაბამისი საგნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს საკუთარი მომხმარებლების მეშვეობით ასევე „One Drive"-ის შესანახ სივრცეში ინახავენ. 2022-2023 სასწავლო წლის საგნობრივი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მხოლოდ ელექტრონული სახით, „დრაივზე" ინახება, ვინაიდან, სკოლის განმარტებით, მათი ამ სახით შენახვა ამარტივებს საჭიროების შემთხვევაში მათში

ცვლილებებისა და დამატებების შეტანას. რაც შეეხება 2020-2021 და წინა სასწავლო წლების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, სკოლა მათ მხოლოდ მატერიალური სახით ინახავს. ამასთან, მატერიალურად შენახული ყველაზე ძველი დოკუმენტები 2013 წლით თარიღდება. შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ სკოლის მიერ შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების „ESchool"-ში (ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) განთავსება არ ხდება. გარდა ამისა, სკოლის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შენახვის ვადასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაერთვის მოსწავლის პირად საქმეს. ხოლო №113/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში.".

სკოლამ ასევე განმარტა, რომ მოსწავლის მობილობის შემთხვევაში სკოლა მოსწავლის მიმდინარე წლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პირად საქმესთან ერთად უგზავნის მოსწავლის მიმღებ სკოლას, მინისტრის №113/ნ ბრძანების შესაბამისად. პირად საქმეს ასევე დაერთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა და მიმდინარე წლის განმავლობაში ისგ ჯგუფის მიერ გამართული სხდომების ოქმები. წინა სასწავლო წლების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები პირად საქმესთან ერთად არ იგზავნება. სკოლის მიერ შექმნილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე წვდომა ასევე ეძლევა მულტიდისციპლინურ გუნდს, ინკლუზიურ განათლებაზე გარე მონიტორინგის მიზნით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. კერძოდ, მულტიდისციპლინური გუნდის წევრი აღნიშნული მიზნით ადგილზე ეცნობა სკოლაში არსებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, სკოლის დირექციასთან/მასწავლებლებთან გასაუბრების გზით აგროვებს ინფორმაციას გეგმების საფუძველზე მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ და პროცესის დასასრულს ამზადებს შესაბამის დასკვნას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოირკვა, რომ მულტიდისციპლინურმა გუნდმა სკოლაში მონიტორინგი 2017 და 2019 წლებში განახორციელა. ასევე დადგინდა, რომ მონიტორინგის ფარგლებში მულტიდისციპლინური გუნდის წევრი გაეცნო სკოლაში არსებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და მათი შემუშავების პროცესში მომზადებულ დოკუმენტაციას, შეაფასა მათი შინაარსობრივი მხარე, განსაზღვრა გამოვლენილი ნაკლოვანებები და გასცა შესაბამისი რეკომენდაციები. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სკოლაში 2017 და 2019 წელს განხორციელებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგის ანგარიშების შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მათში მოსწავლეების მონაცემები მითითებული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის, შენახვისა და მესამე პირებისთვის გადაცემის პროცესში სკოლა მონაცემებს ამუშავებს კონკრეტული და მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნით, მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით და ვადით. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სკოლის მიერ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა არ გამოიკვეთა.

მონაცემთა უსაფრთხოება

მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძველთან და პრინციპებთან ერთად აუცილებელია კანონით გათვალისწინებული სხვა წესების, მათ შორის, კანონის მე-17 მუხლით დადგენილი მონაცემთა უსაფრთხოების წესების დაცვა. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს. ასევე, საყურადღებოა კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი, რომლის მიხედვითაც, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. ამ ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომის მიღების საჭიროება გამომდინარეობს მონაცემთა უკანონო დამუშავების პრევენციის და მონიტორინგის მიზნებიდან.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს მატერიალური სახით ქ. თბილისში, მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე, ქ. თბილისში, სოფ. მდებარე შენობაში, საკეტით დაკეტილ ოთახში და უჯრებში ინახავს. კერძოდ, თითოეული კლასის 2022-2023 სასწავლო წლების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ზოგადი ინფორმაციის შემცველი ნაწილები სარაჯიშვილის ქ. ?მდებარე სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ უჯრებში ინახება და გასაღებები შესაბამისი კლასების დამრიგებლებს აქვთ. 2021-2022 სასწავლო წლის დოკუმენტები კი მდებარე სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში, დირექციის კაბინეტშია განთავსებული და უჯრების გასაღებები დირექტორთან ინახება. რაც შეეხება 2020-2021 სასწავლო წლის და წინა წლების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, აღნიშნული დოკუმენტები ქ. თბილისში, მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ არქივის ოთახში ინახება. თავის მხრივ, არქივის ოთახი სკოლის საქმისმწარმოებლის მფლობელობაში არსებული გასაღებით იკეტება.

ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა ელექტრონულად ინახავს 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. აღნიშნული ელექტრონული დოკუმენტების შესანახად და უფლებამოსილი პირებისთვის გასაზიარებლად კი „დრაივს" იყენებს. აღსანიშნავია, რომ „დრაივი" აღრიცხავს მონაცემების მიმართ შესრულებულ მოქმედებებს, კერძოდ, დამატებას, დათვალიერებას, ცვლილებას, წაშლას. ამასთანავე, ფაილის თითოეული რედაქტირების შემდეგ ხდება რედაქტირებამდელი ვერსიების შენახვა, რომლებიც შესაბამისი ფაილის წაშლამდე ინახება. ამასთან, „დრაივზე" წვდომისთვის გამოყენებული სამსახურებრივი კომპიუტერები დაცულია ანტივირუსით.

შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ საგნის მასწავლებლები მათ მიერ ელექტრონულად შენახულ საგნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს „დრაივზე" შექმნილი ბმულის მეშვეობით შესაბამისი კლასის დამრიგებელს სამსახურებრივ ელექტრონულ ფოსტაზე უზიარებენ. ამასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის როგორც კლასის დამრიგებლის მიერ შექმნილი, ისე თითოეული საგნის მასწავლებლის მიერ შექმნილი ნაწილი იმავე გზით ზიარდება სკოლის დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან. საყურადღებოა, რომ როგორც სკოლაში ჩატარებული ადგილზე შემოწმებების ფარგლებში გამოირკვა, სკოლის თანამშრომლების მიერ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ერთმანეთისთვის გაზიარება ხდებოდა ისეთი ბმულების მეშვეობით, რომელთა მოპოვების შემთხვევაში ნებისმიერ პირს ექნება „დრაივზე" შენახულ შესაბამის დოკუმენტებზე წვდომის შესაძლებლობა. გასათვალისწინებელია, რომ სკოლაში 200 (ორასი) მოსწავლე სწავლობს და მათთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მათ შესახებ არაერთ სენსიტიურ მონაცემს შეიცავს, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებო საჭიროებიდან გამომდინარე აკადემიური და კოგნიტური თვალსაზრისით მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებებისა და საჭიროებების შესახებ დეტალურ ინფორმაციას. აღნიშნულ დოკუმენტებზე წვდომის უფლების ზემოაღნიშნული სახის ბმულებით გადაცემით კი იქმნება „დრაივზე" განთავსებული დოკუმენტების ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირის მიერ მოპოვების რისკები, რაც, თავის მხრივ, ზემოთ მითითებული სენსიტიური ინფორმაციის შემთხვევითი უკანონო გამჟღავნების შესაძლებლობას ქმნის. აღსანიშნავია, რომ „დრაივის" ტექნიკური მახასიათებლები იძლევა დოკუმენტების გასაზიარებლად იმგვარი ბმულების შექმნის საშუალებას, რომელთა მეშვეობითაც დოკუმენტზე წვდომის უფლება მხოლოდ კონკრეტულ ადრესატს მიენიჭება.

ამდენად, სამომავლოდ არასრულწლოვნების მონაცემების შემთხვევითი ან/და უკანონო გამჟღავნების თავიდან არიდების მიზნით აუცილებელია, სკოლის თანამშრომლებმა „დრაივზე" განთავსებული დოკუმენტების გაზიარების მიზნით იმგვარი ბმულები გამოიყენონ, რომელთა მეშვეობითაც გაზიარებულ დოკუმენტ(ებ)ზე წვდომის შესაძლებლობა მიენიჭებათ მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს/მომხმარებლებს.

ადგილზე შემოწმების ფარგლებში ასევე გამოვლინდა, რომ „დრაივზე" განთავსებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე წვდომისთვის გამოყენებული ერთ-ერთი სამსახურებრივი კომპიუტერი არ იყო დაცული პაროლით. აღსანიშნავია, რომ ისეთ კომპიუტერთან მოხვედრის შემთხვევაში, რომელიც პაროლით არ არის დაცული, ნებისმიერ პირს ეძლევა შესაძლებლობა წვდომა მოიპოვოს კომპიუტერში დაცულ მონაცემებზე. ამგვარ პირობებში კი ვერ ხდება მონაცემთა უსაფრთხოებისთვის კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების უზრუნველყოფა. შესაბამისად, სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური ტექნიკური და ორგანიზაციული სტანდარტების სრულად უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ სკოლამ „დრაივზე" განთავსებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე წვდომისთვის გამოიყენოს მხოლოდ პაროლით დაცული კომპიუტერები. ამასთან გასათვალისწინებელია,

რომ შემოწმების ფარგლებში არ გამოვლენილა ზემოაღნიშნულ კომპიუტერში ან/და ზემოხსენებული ბმულების მეშვეობით მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების კონკრეტული ფაქტ(ებ)ი.

სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, მე-6, მე-17, 40^{2}, 40^{11}, 40^{13} და 55-ე მუხლებისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე, 237-ე და 264-ე მუხლების საფუძველზე, მიღებულ იქნეს შემდეგი გადაწყვეტილება:

1. დასრულდეს სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლის გეგმური შემოწმება.
2. დაევალოს სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას:
   2.1. სკოლის სარგებლობაში არსებულ „One Drive“-ის შესანახ სივრცეში განთავსებული დოკუმენტების უფლებამოსილ პირებთან გაზიარების მიზნით ისეთი ბმულები გამოიყენოს, რომელთა მეშვეობითაც გაზიარებულ დოკუმენტ(ებ)ზე წვდომის შესაძლებლობა მიენიჭებათ მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს/მომხმარებლებს;
   2.2. სკოლის სარგებლობაში არსებულ „One Drive“-ის შესანახ სივრცეში განთავსებულ დოკუმენტებზე წვდომა განახორციელოს მხოლოდ პაროლით დაცული კომპიუტერებიდან;
   2.3. გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.
3. სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
4. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

ოთარ ჩახუნაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე/პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი